

საქართველოში სახელმწიფო ნარკოპოლიტიკის გავლენის შეფასება
ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების ტენდენციებზე 2012-2024
წლებში

ავტორი: გულიკო მურაჩაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბიზნესის,
განათლებისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე, მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით ოთიაშვილი, დოქტორანტი, მკვლევარი,
მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც მოცემული სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი ჩემი ორიგინალური ნამუშევარია და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ გამოყენებულ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების დაცვით.

მაგისტრანტი: გულიკო მურაჩაშვილი

28.05.2024

აბსტრაქტი

ნარკოტიკული ნივთიერებების ავადმობმარება თანამედროვე სამყაროსთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა და ის სოციალურ პრობლემას წარმოადგენს. სახელმწიფოებისთვის ნარკოპოლიტიკის შემუშავების საკითხი მეტად მნიშვნელოვანია, რადგან მას შეუძლია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გავლენა მოახდინოს ქვეყანაში არსებულ ნარკოვითარებაზე. ნარკოპოლიტიკა წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ შემუშავებულ სტრატეგიასა და ღონისძიებათა ერთობლიობას ნარკოტიკული ნივთიერებების წარმოების, გავრცელებისა და მოხმარების მოწესრიგების მიზნით. ეს არის მრავალმხრივი და კომპლექსური საკითხი, რომელიც მოიცავს როგორც სამართლებრივ და რეპრესიულ, ასევე სამედიცინო, სოციალურ და საგანმანათლებლო ასპექტებს. ნარკოპოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა ბალანსის დაცვა ნარკოტიკებთან დაკავშირებული ზიანის შემცირებასა და კონტროლს შორის. ამ პროცესში მთავარ სირთულეს წარმოადგენს, ის რომ ერთის მხრივ აქცენტი კეთდება მოხმარების დეკრიმინალიზაციაზე, ზიანის შემცირების პროგრამებსა და მკურნალობის ხელმისაწვდომობაზე, მეორე მხრივ, უპირატესობა ენიჭება მკაცრ სამართლებრივ რეგულირებას, სისხლისსამართლებრივ სანქციებსა და ნარკორეალიზატორთა კატეგორიულად დასჯას.

როგორც საზოგადოებრივი, ასევე ინდივიდუალური ჯანმრთელობის დაცვა დემოკრატიული სახელმწიფოს მოვალეობას წარმოადგენს. ჯანდაცვის სწორი მენეჯმენტისთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოში არსებული ნარკოპოლიტიკის ობიექტურ შეფასებას და მისი ეფექტურობის გაანალიზებას. ეს საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ, თუ რა გავლენას ახდენს სახელმწიფოს მიერ გატარებული ნარკოპოლიტიკა ქვეყანაში ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების დინამიკაზე და რა ცვლილებებია საჭირო ამ სფეროში სიტუაციის გასაუმჯობესებლად. შესაბამისად, მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენს 2012-2024 წლებში

საქართველოში განხორციელებული ნარკოპოლიტიკის ანალიზი და მისი ზეგავლენის შეფასება ნარკოტიკების მოხმარების ტენდენციებზე.

მოცემული სამაგისტრო ნაშრომი შემუშავდა მეორად კვლევაზე დაყრდნობით. შეფასდა დამოკიდებულების სფეროში გამოქვეყნებული კვლევები, ანგარიშები, აკადემიური სტატიები, სამთავრობო დადგენილებები, საერთაშორისო ორგანიზაციების სახელმძღვანელოები. კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ საქართველოში არსებულ კანონმდებლობასა და პრაქტიკას, ჯერ კიდევ სჭირდება დახვეწა. გამოიკვეთა ჯანდაცვის ინდიკატორებში მიმდინარე ცვლილებები. გამოწვევები ჯერ კიდევ არსებობს მონაცემების სრულყოფილ წარმოებასთან დაკავშირებით. სტაბილურად (თუმცა, არასაკმარისად) იზრდება მკურნალობის სახელმწიფო დაფინანსება. ასევე შეინიშნება პოზიტიური ტენდენციებიც, კერძოდ ნელ-ნელმა მცირდება ნიშ-ების პოპულაცია. ბოლო წლებში კი ჩანაცვლებით მკურნალობაში მყოფთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ანალიზის საფუძველზე შემუშავდა გარკვეული რეკომენდაციები, რომლის თანახმადაც სახელმწიფო უწყებებმა უნდა გააფართოვონ და გააძლიერონ მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პრევენციულ პროგრამებში ჩართულ ბენეფიციართა წრე. ხელმისაწვდომი გახადონ ოპოიდებით ჩანაცვლების პროგრამები რეგიონებში. ასევე გააძლიერონ მკურნალობისა და რეაბილიტაციის პროგრამები, უზრუნველყონ მდგრადი დაფინანსება და საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება ნარკომანიასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

Abstract

Drug abuse is one of the main challenges for the modern world and is a significant social problem. The issue of drug policy development is crucial for states because it can have both positive and negative impacts on the drug situation in the country. Drug policy consists of strategies and measures developed by the state to regulate the production, distribution, and consumption of narcotic substances. It is a multifaceted and complex issue that includes legal, repressive, medical, social, and educational aspects. One of the main challenges of drug policy is maintaining a balance between drug-related harm reduction and control. The main difficulty in this process is that, on the one hand, emphasis is placed on the decriminalization of consumption, harm reduction programs, and access to treatment, while on the other hand, preference is given to strict legal regulation, criminal sanctions, and categorical punishment of drug dealers.

Protecting both public and individual health is the duty of a democratic state. For the correct management of healthcare, an objective assessment of the existing drug policy in Georgia and the analysis of its effectiveness are of great importance. This will allow us to determine what influence the state drug policy has on the dynamics of psychoactive substance consumption in the country and what changes are needed to improve the situation. Accordingly, the aim of this research is to analyze the drug policy implemented in Georgia from 2012 to 2024 and assess its impact on drug consumption trends.

This master's thesis was developed based on secondary research. Published studies, reports, academic articles, government regulations, and guidelines of international organizations in the field of addiction were evaluated. The results of the research showed that the existing legislation and practices in Georgia still need improvement. Current changes in health indicators were highlighted. Challenges still exist in terms of producing perfect data. State financing of treatment is steadily (although insufficiently) increasing. Positive trends are also

observed, particularly, the population of People Who Inject Drugs (PWID) is slowly decreasing. In recent years, the number of people undergoing opioid maintenance therapy has increased significantly.

Based on the analysis, certain recommendations were developed. State agencies should expand and strengthen the circle of beneficiaries involved in evidence-based prevention programs, make opioid substitution programs available in the regions, strengthen treatment and rehabilitation programs, ensure sustainable funding, and increase public awareness of drug addiction issues.